



მოხსენება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური

ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები.....	5
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები.....	7
3. არაფინანსური აქტივების კლება.....	8
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	10
4.1 მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებები.....	11
4.2 პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება	12
4.3 საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები.....	13
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები.....	15
დანართი. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები (მაგალითები)	17

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 120-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება „2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში წარმოდგენილი საკითხების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიშში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები – 800,100.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 880,100.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა. თებერვალში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი – 865,320.0 ათას ლარამდე (8.2%-ით), ხოლო გადასახდელების – 908,520.0 ათას ლარამდე (3.2%-ით) გაიზარდა.

2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსულობებმა 548,024.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის – 63.3%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 88.1%-ია. წლიურ გეგმასთან მიმართებით, ამ პერიოდში მიღებული საშემოსავლო გადასახადის მობილიზების პროცენტული მაჩვენებელი 3.0 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო სხვა შემოსავლების – 11.8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის შესრულების მაჩვენებელზე. სხვა შემოსავლების კუთხით საყურადღებოა „პროცენტების“ კომპონენტი, რომლის შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის 26.9%-ია.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები. 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, ამ კომპონენტში მობილიზებულია 4,500.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 2.5%-ია, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის – 3.6%. მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოს „არაფინანსური აქტივების კლების“ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებელი არ შესრულდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, „არაფინანსური აქტივების კლების“ საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს საპრივატიზებო რესურსების სათანადო შეფასებისა და სისტემური ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 2025 წლის 9 თვის ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის – 58.3%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 79.6%-ს (529,507.2 ათას ლარს) შეადგენს. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციის პირობებში, 2025 წლის 9 თვის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთი 18,517.1 ათასი ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 61,755.0 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც საბიუჯეტო დაწესებულებების, ასევე მაკოორდინებელი უწყების მხრიდან ფისკალური წლის დარჩენილ პერიოდში ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა, ასევე გადასახდელების გეგმის შეუსრულებლობის გამო ნაშთის მოცულობის გაზრდა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში საყურადღებოა ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობით. 2025 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 60%-ზე დაბალი ათვისება აქვს 12 პროგრამას და 22 ქვეპროგრამას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები


2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსულობები – 800,100.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 880,100.0 ათასი ლარით განისაზღვრა. თებერვალში,¹ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი – 865,320.0 ათას ლარამდე (8.2%-ით), ხოლო გადასახდელები 908,520.0 ათას ლარამდე (3.2%-ით) გაიზარდა. 9 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა – 548,024.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 529,507.2 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი 1. 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულება	2025 წლის 9 თვის გეგმის შესრულება
შემოსულობები	475,608.3	865,320.0	621,981.5	548,024.3	63.3%	88.1%
გადასახდელები	403,458.4	908,520.0	665,046.1	529,507.2	58.3%	79.6%
ნაშთის ცვლილება	72,149.9	-43,200.0	-43,064.6	18,517.1		

2025 წლის 9 თვის მდგომარეობით შემოსულობების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით წინა წლის მონაცემს 3.8 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება, ხოლო გადასახდელების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი – 5.5 პროცენტული პუნქტით აღემატება. კერძოდ, 9 თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა წლიური გეგმით განსაზღვრული შემოსულობების 63.3% და გადასახდელების – 58.3%.


დიაგრამა 1. წლიურ გეგმასთან მიმართებით 9 თვის და წლიური შესრულების მაჩვენებლები (%)



¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (28-რს, 26.02.2025).


როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების შესრულება სამივე კვარტალში კვარტლის გეგმას ჩამორჩებოდა. კერძოდ, შემოსულობებში შესაბამისი კვარტლის გეგმაზე 10.2%-ით (18,820.6 ათასი ლარი), 13.4%-ით (28,339.9 ათასი ლარი) და 11.9%-ით (26,796.7 ათასი ლარი) ჩამორჩენა დაფიქსირდა. გადასახდელების შემთხვევაში – პირველ კვარტალში, კვარტლის გეგმიდან ჩამორჩენამ 19.2% (39,471.0 ათასი ლარი), მეორე კვარტალში – 21.6% (49,462.4 ათასი ლარი), ხოლო მესამე კვარტალში – 20.3% (46,605.5 ათასი ლარი) შეადგინა.

დიაგრამა 2. 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან (%)




შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციის პირობებში, 2025 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთი 18,517.1 ათასი ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 61,755.0 ათასი ლარი შეადგინა.

დიაგრამა 3. შემოსულობების, გადასახდელების და ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა – 2025 წ. (ათასი ლარი)



დიაგრამა 4. კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტების ნაშთის მოცულობა – 2025 წ. (მლნ ლარი)



2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები


2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი – 685,100.0 ათასი ლარის, ხოლო 9 თვის გეგმა 498,612.5 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში მიღებულმა შემოსავლებმა – 543,524.1 ათასი ლარი, წლიური გეგმის 79.3% შეადგინა (2024 წლის ანალოგიური მაჩვენებელია 76.9%). მათ შორის, საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 532,475.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 80.7%-ია.

ცხრილი 2. შემოსავლების 2025 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლების კომპონენტები	2024 წლის ფაქტი	2024 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულება	2025 წლის 9 თვის შესრულება
გადასახადები	609,385.6	446,586.1	660,000.0	480,000.0	532,475.0	80.7%	110.9%
სხვა შემოსავლები	18,366.0	11,768.3	25,100.0	18,612.5	11,049.1	44.0%	59.4%
სულ:	627,751.7	458,354.4	685,100.0	498,612.5	543,524.1	79.3%	109.0%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, გადასახადები მობილიზების მაღალი ტენდენციით გამოირჩევა. კერძოდ, 9 თვეში მიღებულია გადასახადების წლიური გეგმური მაჩვენებლის 80.7%,² ხოლო 9 წლის დაზუსტებული გეგმის – 110.9%.

დიაგრამა 5. რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების მონაცემები 9 თვის მდგომარეობით (ათასი ლარი)



რაც შეეხება სხვა შემოსავლების შესრულების მდგომარეობას, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით „სხვა შემოსავლების“ წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი – 25,100.0 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის მაჩვენებელი 18,612.5 ათასი ლარით განისაზღვრა. 2025 წლის 9 თვის

² 2023-2024 წლების 9 თვეში მიღებულია გადასახადების წლიური გეგმური მაჩვენებლის, შესაბამისად, 77.4% და 77.7%.

მდგომარეობით „სხვა შემოსავლების“ მუხლით მობილიზებულია 11,049.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის – 44.0%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 59.4%-ს შეადგენს.

ცხრილი 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის „სხვა შემოსავლების“ 2025 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2025 წლის გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულება	9 თვის გეგმის შესრულება
შემოსავლები საკუთრებიდან	19,263.7	14,497.8	5,691.9	29.5%	39.3%
პროცენტები	17,946.2	13,459.7	4,832.7	26.9%	35.9%
დივიდენდები	100.0	100.0	172.6	172.6%	172.6%
რენტა	1,217.5	938.1	686.5	56.4%	73.2%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	826.3	357.2	486.8	58.9%	136.3%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	10.0	7.5	38.6	386.0%	514.7%
ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	5,000.0	3,750.0	4,831.8	96.6%	128.8%
სულ სხვა შემოსავლები:	25,100.0	18,612.5	11,049.1	44.0%	59.4%

პროცენტების სახით 2025 წლის 9 თვეში მობილიზებულ იქნა 4,832.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 26.9%-ია, ხოლო 9 თვის გეგმის – 35.9%. ფისკალური წლის დასასრულს გადასახდელების მოცულობის ზრდისა და წინა წლების ტენდენციის³ გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ საპროცენტო შემოსავლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი არ შესრულდეს.

2025 წლის 9 თვეში დივიდენდების წლიური გეგმა შესრულებულია 172.6%-ით, ჯარიმების, სანქციების და საურავების წლიური გეგმა – 386.0%-ით, ხოლო ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული წლიური გეგმა – 96.6%-ით. ბიუჯეტის წლიური გეგმის 9 თვეში შესრულება „სხვა შემოსავლების“ რიგი კომპონენტების პესიმისტური პროგნოზით დაგეგმვაზე მიუთითებს.


3. არაფინანსური აქტივების კლება

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი 115,000.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 92,164.5 ათასი ლარით აღემატება 2024 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. 2025 წლის თებერვალში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, არაფინანსური აქტივების კლების

³ პროცენტების სახით: 2022 წლის 9 თვეში მობილიზებულ იქნა 3,388.9 ათასი ლარის შემოსავალი, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 48.4%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის – 70.6%-ს; 2023 წლის 9 თვეში – 7,893.1 ათასი ლარის შემოსავალი, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 59.4%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის – 82.7%-ს; 2024 წლის 9 თვეში – 7,480.7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 50.9%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის – 65.6%-ს.

გეგმური მაჩვენებელი გაიზარდა 65,220.0 ათასი ლარით და 180,220.0 ათას ლარს გაუტოლდა, რაც 157,384.5 ათასი ლარით აღემატება 2024 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს.

დიაგრამა 6. „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (ათასი ლარი)



2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მოხილიზებულია 4,500.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 2.5%-ს შეადგენს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის – 3.6%-ს. მთავრობის ანგარიშში, წინა წლების მსგავსად, აღნიშნულია, რომ ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული აუქციონები, მათ შორის, რიგ ქონებაზე – არაერთგზის, არ შედგა. შედეგად, საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა რიგი ქონების პრივატიზება.

„არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე პერიოდულად აღინიშნებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებსა და მოხსენებებში.⁴ მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოს არაფინანსური აქტივების კლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებელი არ შესრულდეს.

აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს საპრივატიზებო რესურსების სათანადო შეფასებისა და სისტემური ანალიზის საფუძველზე.

⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე და სხვ.


4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა ოდენობამ 529,507.2 ათასი ლარი შეადგინა და კანონით განსაზღვრული წლიური გეგმის 58.3%-ს გაუტოლდა. 2024 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 52.8%-ს შეადგენდა.

ცხრილი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულება	2025 წლის 9 თვის გეგმის შესრულება
ხარჯები	343,130.0	723,472.0	542,115.4	448,206.4	62.0%	82.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	47,416.0	165,049.2	114,632.8	73,221.2	44.4%	63.9%
ვალდებულებების კლება	12,912.4	19,998.8	8,297.8	8,079.6	40.4%	97.4%
სულ გადასახდელები:	403,458.4	908,520.0	665,046.1	529,507.2	58.3%	79.6%

დიაგრამა 7. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების და მისი ცალკეული კომპონენტის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით – 2022-2025 წლები (%)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2025 წლის 9 თვეში ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებლები, ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტებში, მცირედით გაუმჯობესებულია. მიუხედავად ამისა, კვლავ გამოწვევად რჩება საბიუჯეტო თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის წლის ბოლო თვეებში ხარჯვა. 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით გაწეული გადასახდელების საშუალო თვიური ათვისების მაჩვენებელი 58.8 მლნ ლარია.⁵ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა (908.5 მლნ ლარი) შესრულდება, წლის ბოლო 2 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებელი 168.2 მლნ ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი 10 თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს 2.9-ჯერ აღემატება.

⁵ 2025 წლის 10 თვის მდგომარეობით გაწეული გადასახდელების საშუალო თვიური ათვისების მაჩვენებელი 57.2 მლნ ლარია.

4.1 მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებები

2025 წლის 9 თვეში გადასხდელების საკასო შესრულება 135,538.9 ათასი ლარით ჩამორჩება საანგარიშგებო პერიოდის დაზუსტებულ გეგმას.

ცხრილი 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები (ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის დაზუსტ. გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის გეგმის შესრულება (%)	9 თვის გეგმის შესრულება (%)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	10,113.6	8,092.0	5,490.1	54.3%	67.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	1,605.1	1,205.0	1,091.7	68.0%	90.6%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	6,406.5	4,949.9	3,727.3	58.2%	75.3%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	150,034.1	110,965.5	79,461.7	53.0%	71.6%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	116,332.9	79,465.3	57,460.6	49.4%	72.3%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	89,706.2	76,870.2	71,427.9	79.6%	92.9%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	36,820.6	23,758.1	17,308.6	47.0%	72.9%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო	44,482.7	33,685.6	23,676.1	53.2%	70.3%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	453,018.3	326,054.3	269,863.1	59.6%	82.8%
ჯამი:	908,520.0	665,046.1	529,507.2	58.3%	79.6%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2025 წლის 9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად უკავშირდება საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებს“ (აუთვისებელი დარჩა 56,191.2 ათასი ლარი). მოცულობითი ფინანსური რესურსი აუთვისებელი დარჩა ასევე ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (31,503.8 ათასი ლარი) და განათლებისა და სპორტის სამინისტროს (22,004.7 ათასი ლარი) ასიგნებებიდან.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროგრამაში „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ – აუთვისებელი დარჩა 16,098.4 ათასი ლარი (2025 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა – 41,178.9 ათასი ლარი, 2025 წლის 9 თვის ფაქტი – 25,080.6 ათასი ლარი). წარმოდგენილი ინფორმაციით, გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები არაერთგზის დასრულდა უარყოფითი შედეგით. აგრეთვე მიმწოდებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საანგარიშგებო პერიოდში დროულად ვერ განხორციელდა,

სამუშაოების ნაწილზე კი საზედამხედველო ორგანოს მიერ დროულად არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიში, რამაც შეაფერხა ანგარიშსწორების პროცედურა.

განათლებისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამაში – „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ – აუთვისებელი დარჩა 5,843.9 ათასი ლარი (2025 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა – 21,551.7 ათასი ლარი, 2025 წლის 9 თვის ფაქტი – 15,707.8 ათასი ლარი). წარმოდგენილი ინფორმაციით, გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო შესყიდვაში მიმწოდებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საანგარიშგებო პერიოდში დროულად ვერ განხორციელდა, რამაც შეაფერხა ანგარიშსწორების პროცედურა.

განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამაში – „აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ – აუთვისებელი დარჩა 3,693.5 ათასი ლარი (2025 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა – 8,752.6 ათასი ლარი, 2025 წლის 9 თვის ფაქტი – 5,059.1 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდის გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხარჯის (კაპიტალური გრანტი) აუთვისებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სარემონტო სამუშაოების ვადის გახანგრძლივებით.

4.2 პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 9 თვის მდგომარეობით წლიური გეგმის – 57.0%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 79.6% შეადგინა.⁶ 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 60%-ზე დაბალი ათვისება აქვს 12 პროგრამას (პროგრამების 16.0%) და 22 ქვეპროგრამას (ქვეპროგრამების 15.1%). (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში) საყურადღებოა, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილი გასულ წელსაც დაბალი ათვისებით გამოირჩეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

⁶ მაჩვენებელი არ მოიცავს საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებს.

4.3 საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

2025 წლის 9 თვეში საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების საკასო შესრულება 56,191.2 ათასი ლარით ჩამორჩება საანგარიშგებო პერიოდის დაზუსტებულ გეგმას. მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 52,137.0 ათასი ლარი.

ცხრილი 6. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის დაზუსტ. გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის გეგმის შესრულება	2025 წლის 9 თვის გეგმის შესრულება
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	226,639.4	163,493.3	129,859.7	57.3%	79.4%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	132,515.1	92,483.7	73,980.3	55.8%	80.0%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება	66,927.4	58,780.2	57,043.9	85.2%	97.0%
საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში	31.0	31.0	10.5	34.0%	34.0%
სარეზერვო ფონდი	810.7	91.5	-	0%	0%
სესხების მომსახურების ხარჯები	5,241.9	2,781.8	889.1	17.0%	32.0%
უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება	14,998.8	8,297.8	8,079.6	53.9%	97.4%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსური უზრუნველყოფა	48.0	36.0	-	0%	0%
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება	5,000.0	0.0	-	0%	
ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	806.0	59.0	0.0	0%	0%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	453,018.3	326,054.3	269,863.1	59.6%	82.8%

მოპოვებული ინფორმაციით, 2025 წლის 9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებებით. კერძოდ, შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების ხარვეზებით ჩატარების გამო არაერთი ტენდერი არ შედგა ან/და დასრულდა უარყოფითი შედეგით, ასევე მნიშვნელოვანია შესყიდვებში მიმწოდებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობა, რამაც შეაფერხა საანგარიშო პერიოდში ანგარიშსწორების პროცედურა.

ცხრილი 7. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის დაზუსტ. გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის გეგმის შესრულება	9 თვის გეგმის შესრულება
მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	226,639.4	163,493.3	129,859.7	57.3%	79.4%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	132,341.0	92,472.0	79,691.2	60.2%	86.2%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	32,500.0	29,050.0	18,077.0	55.6%	62.2%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	30,124.5	23,707.3	17,708.1	58.8%	74.7%
ქედის მუნიციპალიტეტი	7,650.0	5,596.0	3,528.6	46.1%	63.1%
შუახევის მუნიციპალიტეტი	10,550.0	6,100.0	5,517.4	52.3%	90.4%
ხულოს მუნიციპალიტეტი	13,473.9	6,568.0	5,337.4	39.6%	81.3%
მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	132,515.1	92,483.7	73,980.3	55.8%	80.0%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	99,785.3	66,134.1	53,083.4	53.2%	80.3%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	15,175.3	11,180.1	7,499.0	49.4%	67.1%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5,199.5	4,674.5	4,108.3	79.0%	87.9%
ქედის მუნიციპალიტეტი	4,104.9	3,704.9	3,246.8	79.1%	87.6%
შუახევის მუნიციპალიტეტი	3,308.7	2,350.7	1,844.1	55.7%	78.5%
ხულოს მუნიციპალიტეტი	4,941.5	4,439.5	4,198.7	85.0%	94.6%
სულ ჯამი:	359,154.5	255,977.0	203,840.0	56.8%	79.6%

გადასახდელების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ასევე მაკოორდინებელი უწყების მხრიდან, ფისკალური წლის დარჩენილ პერიოდში ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 8,968.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 35.5%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 80.9%-ს შეადგენს.

ცხრილი 8. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები – 2025 წლის 9 თვე (ლარი, ევრო)

სესხის დასახელება	გამოყოფილი სესხი სულ	ათვისებულია 01.10.2025 წლის მდგომარეობით	გადახდილია 2025 წლის 9 თვეში		
			ძირითადი	პროცენტი	აუთვისებლობისათვის დარიცხული პროცენტი
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხი (აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი)	EUR 3,000,000	EUR 3,000,000	EUR 506,927	EUR 15,269	
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი (კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია)	EUR 6,700,000	EUR 6,700,000	EUR 223,300	EUR 17,874	
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით და ევროკავშირის თანადაფინანსებით მიღებული სესხი (აჭარის სოფლების წყალმომარაგება)	EUR 40,000,000	EUR 13,958,165	EUR 1,904,000	EUR 124,955	EUR 32,877
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი „აჭარის მყარი ნარჩენების მართვა“ - ფაზა II	EUR 19,000,000	EUR 2,956,005		EUR 55,951	EUR 41,112
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (კანადურ კომპანიასთან გაფორმებული მორიგების ხელშეკრულება)	GEL 20,000,000	GEL 20,000,000			
ჯამი:	EUR 68,700,000	EUR 26,614,170	EUR 2,634,227	EUR 214,049	EUR 73,989
	GEL 20,000,000	GEL 20,000,000			

საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერითა და ევროკავშირის თანადაფინანსებით, აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისათვის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) „აჭარის მყარი ნარჩენების მართვის“ II ფაზისთვის გამოყოფილი, ჯამში – 59.0 მლნ ევროს ოდენობის სესხებიდან, საანგარიშო პერიოდისთვის ათვისებულია მხოლოდ 16.9 მლნ ევრო. საკრედიტო ხელშეკრულებების შესაბამისად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. 2025 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში, სესხის აუთვისებლობისათვის, ვალდებულების გადასახადის სახით ჯამურად გადახდილია 74.0 ათასი ევრო.

ცხრილი 9. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები – 2025 წლის 9 თვე (ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის გეგმის შესრულება	9 თვის გეგმის შესრულება
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის მიღებული სესხი	18,108.1	9,120.2	7,051.1	38.9%	77.3%
ვალდებულებების კლება	13,402.0	6,701.0	6,513.2	48.6%	97.2%
პროცენტი	4,706.1	2,419.2	537.9	11.4%	22.2%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი	2,132.6	1,959.4	1,917.6	89.9%	97.9%
ვალდებულებების კლება	1,596.8	1,596.8	1,566.4	98.1%	98.1%
პროცენტი	535.8	362.6	351.2	65.5%	96.9%
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხი	5,000.0	-	-	0%	
ვალდებულებების კლება	5,000.0	-	-	0%	
სულ სესხები:	25,240.7	11,079.6	8,968.7	35.5%	80.9%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია მაკონტროლებელმა უწყებებმა სათანადო მონიტორინგის საშუალებით უზრუნველყონ პროექტის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების დროული გამოვლენა, ხარვეზებზე ეფექტიანი რეაგირება და მოზიდული ფინანსური რესურსის გამოყენება.

დანართი. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები (მაგალითები)

2025 წლის 9 თვის გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2025 წ. (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლის დაზუსტებ. გეგმა	2025 წლის 9 თვის დაზუსტ. გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულება	9 თვის გეგმის შესრულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო						
04 01 02 02	რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი	12.9	12.9	-	0%	0%
04 01 03	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	7,561.0	3,379.1	1,184.9	15.7%	35.1%
04 01 03 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	5,536.0	2,804.5	998.3	18.0%	35.6%
04 01 03 04	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	1,900.0	489.4	120.1	6.3%	24.5%
04 01 06	საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	3,268.0	1,400.0	487.1	14.9%	34.8%
04 01 06 01	აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება	3,268.0	1,400.0	487.1	14.9%	34.8%
04 13 02	აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე	8,611.0	5,810.0	1,469.8	17.1%	25.3%
04 13 02 01	რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე	5,935.0	4,390.0	1,327.3	22.4%	30.2%
04 13 02 02	რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით	1,600.0	1,130.0	50.2	3.1%	4.4%
04 13 02 03	რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება	1,076.0	290.0	92.3	8.6%	31.8%
04 13 03 05	ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა	1,420.0	860.0	243.3	17.1%	28.3%
04 14 02 01	გზების რეაბილიტაცია	31,517.3	18,708.3	9,894.6	31.4%	52.9%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო						
05 03 03	საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება	2,720.0	2,720.0	1,095.0	40.3%	40.3%
05 06	აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	10,926.3	8,752.6	5,059.1	46.3%	57.8%
05 07	საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა	1,873.6	1,407.4	733.8	39.2%	52.1%

05 07 04	საპანსიონო მომსახურების მექონე საჯარო სკოლების და გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა	1,102.0	840.2	337.5	30.6%	40.2%
05 10 02	უმადლესი განათლების ხელშეწყობა	595.0	450.0	151.8	25.5%	33.7%
05 15 02 04	ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და მასტერკლასები	280.0	160.0	-	0%	0%
05 18 06 03	კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	478.3	453.4	230.5	48.2%	50.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო						
06 10 03	საკვანძო კომპეტენციების განვითარება	127.5	85.0	29.3	23.0%	34.5%
06 10 06	შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა	37.0	29.0	12.8	34.5%	44.0%
06 10 10	დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა	100.0	60.0	-	0%	0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო						
07 12 03	ტყის დაცვა და მოვლა	464.9	418.3	176.2	37.9%	42.1%
07 12 03 01	დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა	326.9	317.9	176.2	53.9%	55.4%
07 12 03 02	სანიტარიული ჭრა	138.0	100.4	-	0%	0%
07 12 05 02	სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა	1,721.7	1,343.9	672.8	39.1%	50.1%
07 12 08	ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმონაწილობა)	1,000.0	606.0	-	0%	0%
07 16	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	5,292.3	2,646.0	1,454.8	27.5%	55.0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო						
08 02	კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა	2,066.1	1,186.4	680.0	32.9%	57.3%
08 02 02	ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა	340.0	220.0	86.9	25.6%	39.5%
08 05	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	300.5	166.6	73.3	24.4%	44.0%
08 06	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია	8,539.4	7,142.2	3,250.6	38.1%	45.5%
08 06 02	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	6,091.6	5,120.0	1,787.5	29.3%	34.9%
08 07	მუზეუმებისა და გალერეების განვითარება	4,895.3	3,823.7	2,214.0	45.2%	57.9%

1. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა წლიურ და 2025 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქვეპროგრამის – „აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება“ (04 01 03 03) – ფარგლებში, 9 თვის მდგომარეობით ათვისებულია 998.3 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის 18.0%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის – 35.6%-ს შეადგენს. წარმოდგენილი ინფორმაციით, ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი უკავშირდება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ ღონისძიებებს: ა) „გომარდულის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება“ – ღონისძიების ფარგლებში, ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვის საკითხი დროებით გადაიდო ახალი საბაგირო ტრასების შესაძლო მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან შესაბამისობისა და საჭიროების დადგენამდე; ბ) „ხულო-თაგოს საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის წინასაპროექტო კვლევა“ – ღონისძიების ფარგლებში, საკასო ხარჯი არ გაწეულა, რადგან აღნიშნული ობიექტი მომეტებული საფრთხის შემცველია და სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი პოტენციური კონტრაქტორის შერჩევა რთულად წარიმართა, ვინაიდან ადგილობრივი ბაზარი მსგავსი ობიექტების მიწოდებით ფაქტობრივად არაა დაფარული; გ) „ჩირუხის მთის ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება“ – ღონისძიების ფარგლებში, საკასო ხარჯი არ გაწეულა, რადგან ვიზიტორთა მზარდი ნაკადების გათვალისწინებით, დაიგეგმა ადმინისტრაციული და გადაუდებელი სამსახურების განთავსებისათვის ობიექტის მშენებლობა; დ) „სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება (თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის მოწყობა, თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობა)“ – ღონისძიების ფარგლებში, საპროექტო დოკუმენტაციაში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროების გამო, ობიექტზე ვერ შესრულდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქვეპროგრამის – „აჭარის მაღალმთიანი რეგიონების გაზიფიცირება“ (04 01 06 01) – დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ – 3,268.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ – 1,400.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 487.1 ათასი ლარი (წლიური გეგმის 14.9%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 34.8%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, გაზსადენის მშენებლობა მიმდინარეობს შეფერხებით, რაც გამოწვეულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, ვინაიდან გაზსადენის კონტური გასდევს საავტომობილო გზის კონტურს. გზის რეკონსტრუქციის პროფილის ჩამოყალიბება ეტაპობრივად მიმდინარეობს და შესაბამისად, ხორციელდება გაზსადენის სამონტაჟო სამუშაოები.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქვეპროგრამის – „გზების რეაბილიტაცია“ (04 14 02 01) – ბიუჯეტის კანონით დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ – 31,517.3 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ – 18,708.3 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ 9,894.6 ათასი ლარი (წლიური გეგმის 31.4%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 52.9%) შეადგინა. დეპარტამენტის განმარტებით, გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში 23 ერთეული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები დასრულდა უარყოფითი შედეგით. აგრეთვე დროულად ვერ განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში შემსყიდველი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, სამუშაოების ნაწილზე კი, საზედამხედველო ორგანოს მიერ დროულად არ არის

წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიში, რამაც შეაფერხა ანგარიშსწორების პროცედურა.

-) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის – „**აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**“ (05 06) – დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ – 10,926.3 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ – 8,752.6 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ 5,059.1 ათასი ლარი (წლიური გეგმის 46.3%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 57.8%) შეადგინა. პროგრამა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, მათ შორის, სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის დაბალი ათვისება ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხარჯის აუთვისებლობით და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის პროცედურების გაჭიანურებით, რომელიც შემდეგ კვარტალში განხორციელდება; ქვეპროგრამის – „სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ – გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სარემონტო სამუშაოების ვადის გახანგრძლივებით, ასევე სტუდენტთა საზღვაო პრაქტიკისათვის საკონკურსო შერჩევის პროცესით.

-) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამაზე – „**სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა**“ (07 16) – ბიუჯეტის კანონით დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ – 5,292.3 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ – 2,646.0 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ – 1,454.8 ათასი ლარი (წლიური გეგმის 27.5%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 55%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, ღონისძიება – „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და რეალიზაციის მიმართულებით ბენეფიციართა პროექტების სუბსიდირებას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, მიღებულ იქნა 8,477 განაცხადი, საიდანაც 6,371 ბენეფიციარი შეირჩა დაფინანსებისთვის. მათგან 4,898 ბენეფიციართან გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულებები და განხორციელდა საქონლის შესყიდვა 3,187.5 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა პირველადი დოკუმენტაციის დიდი მოცულობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ვალდებულებებისა და მოთხოვნების რეგისტრაცია სრულად ვერ განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამა ათვისების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა, 2024 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით.

-) სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის – „**სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა**“ (07 12 05 02) – ბიუჯეტის კანონით დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ – 1,721.7 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ – 1,343.9 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ – 672.8 ათასი ლარი (წლიური გეგმის 39.1%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 50.1%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ საანგარიშო პერიოდში არ წარმოიშვა დიდი რაოდენობით საწვავის გახარჯვის, მძიმე ტექნიკის შეკეთებითი სამუშაოებისა და სათადარიგო ნაწილების მოწოდების საჭიროება; ასევე არ გამოცხადებულა ტენდერი მეტყევის სახლის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელსაც ითვალისწინებდა აღნიშნული ქვეპროგრამის ასიგნება.

-) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს პროგრამაზე – „**კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა**“ (08 02) – დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ – 2,066.1 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ – 1,186.4 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ 680 ათასი ლარი (წლიური გეგმის 32.9%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 57.3%) შეადგინა. პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას: „პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება“ და „ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი

პროექტების ხელშეწყობა“. სამინისტროს ინფორმაციით, გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ წინასწარ ვერ განისაზღვრა გამარჯვებული პროექტების ღონისძიებების ჩატარების და ანგარიშსწორების ზუსტი პერიოდი, რადგან ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება საგრანტო კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად.

) კულტურის სამინისტროს ქვეპროგრამაზე – **„კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება“** (08 06 02) – ბიუჯეტის კანონით დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ – 6,091.6 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ – 5 120 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ 1,787.5 ათასი ლარი (წლიური გეგმის 29.3%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 34.9%) შეადგინა. გეგმასა და ფაქტობრივ შესრულებას შორის განსხვავება ძირითადად გამოწვეულია ადმინისტრაციული და ტექნიკური ხასიათის შეფერხებებით. მათ შორის, ტენდერების პროცედურები და შესაბამისად, ხელშეკრულებების გაფორმება დაგეგმილზე ხანგრძლივად გაგრძელდა, რამაც საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ვადების გადაცილება გამოიწვია. გარდა ამისა, არქეოლოგიური სამუშაოების ნაწილი ვერ დასრულდა სანებართვო პროცედურების გაჭიანურების გამო, რის შედეგად შესაბამისი ანგარიშსწორება საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა. გარდა ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციით, კლიმატურმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა სარეაბილიტაციო სამუშაოების ინტენსიური მიმდინარეობა, რის გამოც მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფორმა N2 არ იყო წარმოდგენილი და ანაზღაურებაც ვერ განხორციელდა. ამასთანავე, გარკვეულ პროექტებზე, სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაფიქსირდა სახელშეკრულებო ეკონომია, ხოლო რიგი ტენდერები საერთოდ არ შედგა.